

საქართველოს კანონი

“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., №21-22) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-4 მუხლის 4.4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4.4. ერთიანი სამეწარმეო რეესტრის ელექტრონულ ვერსიას აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური”.

2. მე-4 მუხლის 4.6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4.6. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო სამეწარმეო რეესტრის ასლს (ელექტრონულ ვერსიას) უგზავნის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სტატისტიკის დეპარტამენტს თვეში ერთხელ, არაუგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა. სააქციო საზოგადოების სამეწარმეო რეესტრის ასლს (ელექტრონულ ვერსიას) საგადასახადო ორგანო ამავე ვადაში უგზავნის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას”.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.